საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №81
2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 5^1 მუხლში შევიდეს შემდეგი შინაარსის ცვლილება:

„მუხლი 5^1. ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასური

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“:

„ა) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე დაშვების საფასური 6 000 ლარი/წელი – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე;

ბ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე დაშვების საფასური 2 000 ლარი/წელი – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე;

გ) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიისთვის საფასური 0.161 ლარი/მგვტ.სთ – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე;

დ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიისთვის საფასური 0.155 ლარი/მგვტ.სთ – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე;

ე) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური 500 ლარი/წელი – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე;

ვ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური 500 ლარი/წელი – 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**